# ფოტოაპარატით ჩვენს რესპუბლიკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა




შინაარსიანი, მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობენ საბჭოთა საქართველოს მშრომელები, რომლებმაც წარმატებით აიღეს შვიდწლედის მეშვიდე წლის სტარტი და ბეჯითად იბრძვიან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენმა კორესპონდენტებმა ფოტოაპარატით ხელში იმოგზაურეს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქ-სა და რაიონში, იყვნენ საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, სკოლებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში, ჯანმრთელობის კერებში, სასპორტო მოედნებზე და აღბეჭდეს მეფოლადეთა და მიწათმოქმედთა, მექანიზატორთა და მას-წავლებელთა, მეცნიერთა და სპორტსმენთა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა შრომა.



საქტესის ფოტოქრონიკა

# ელექტროფიცირებულია თბილისი—გარჯაანის უბანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დამთავრდა 120-კილომეტრიანი თბილისი—გურჯაანის რკინიგზის უბნის ელექტრიფიკაცია. პირველმა ელექტრომატარებელმა ეს გზა თითქმის ერთიორად უფრო სწრაფად გაიარა, ვიდრე ადრე თბომავლის წევის შემადგენლობანი გადიოდნენ.

ამ ამბავს კახეთის მშრომელები შეხვდნენ როგორც დიდ სახალხო დღესასწაულს.




პირველი ელექტრომავალი მოვიდა გურჯაანის სადგურში.

საქლესის ფოტოქრონიკა

# ლაინერი „ივანე ფრანკო" ბათუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა




აჭარის დედაქალაქში პირველი რეისით ჩამოვიდა დიდი საოკეანო ლაინერი „ივანე ფრანკო", რომელიც აგებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გემთსაშენებში. ლაინერი ივლის ყირიმ-კავკასიის ხაზზე.

სურათზე: „ივანე ფრანკო" ბათუმის ნავსადგურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოთის ნავსადგურის მუშაკებთან

ფოთის ნავსადგურის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგას პირველი საწარმოო რაიონის კოლექტივი. აქ განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს კომუნისტური შრომის დამკვრელებმა—მეამწეებმა ამირან თოფურიამ, ვაჟა ჭანტურიამ, ივანე კუზმინკოვმა და ვაჟა კოლუამ. მათ ანგარიშზეა ზეგეგმით გადამუშავებული ათეულ ათასობით ტონა ტვირთი.



მეამწე ვაჟა ჭანტურია.




გემი „ბოლშევიკი სუხანოვი" ფოთის ნავსადგურში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი მაჩვენებლებით დაიწყო შვიდწლედის დამამთავრებელი წელი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს № 1 ღუმელის კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც გიორგი ბერეკაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ უკვე გამოადნო ასეულობით ტონა ზეგეგმითი ფოლადი.

სურათზე: მეფოლადე გიორგი ბერეკაშვილი დნობის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანგანუმის მოპოვება ღია წესით



ჭიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროში ყოველწლიურად ფართოვდება მანგანუმის მოპოვება ღია წესით. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აქ უკვე ამოღებულია ათასობით ტონა ზეგეგმითი მანგანუმი.

სურათზე: მანგანუმის მოპოვება ღია წესით.

# მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკაში



1965 წელს მნიშვნელოვნად გადიდდება პიანინოების გამოშვება თბილისის მუსიკალურ-საკლავიშო ინსტრუმენტების ფაბრიკაში. განზრახულია წლის განმავლობაში გამოუშვან 5.200 პიანინო „საქართველო". გადიდდება აგრეთვე მცირეგაბარიტიანი პიანინოების გამოშვებაც.

სურათზე: პიანინოს მექანიზმების მოწინავე გამწყობი ნანა მონასელიძე.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა

დაიწყო ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა. ეს საინტერესო საინჟინრო ნაგებობა რესპუბლიკის ირიგატორთა და მშენებელთა შემოქმედებითი აზრის პირმშოა. ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა მაცოცხლებელ ტენს მიაწვდის აღმოსავლეთ საქართველოს 108 ათას ჰექტარ ნაყოფიერ მიწას.



არხის მშენებლობის ერთ-ერთი უბანი.



„ალაზანმშენის" უფროსი გ. მამაცაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი ს. საგანელიძე და ტოპოგრაფი კ. ბაიპარაშვილი მომავალი არხის ტრასაზე.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მელიორაციული სამუშაოები კოლხეთში



დიდი სამუშაოები გაჩაღდა კოლხეთის დაბლობის ჭაობების ამოსაშრობად. აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ სამუშაოებს აწარმოებს ტამიშის მექანიზაციის სამმართველო.

სურათზე: ტამიშის მექანიზაციის სამმართველოს ახალგაზრდა ინჟინერი გერონტი შენგელაია (მარჯვნივ) თავისი რაზმის ერთ-ერთ საუკეთესო მეექსკავატორეს ლეონტი ცაავას აცნობს მომავალი სამუშაოების მოცულობას.

ფურცელი 9

საქდესის ფოტოქრონიკა

# კოლმეურნე მექანიზატორებთან



მოწინავე მექანიზატორი რ. ჯაბაღაშვილი.



კოლმეურნეობის ვენახების მწკრივთაშორი-
სი დამუშავება.

სახელოვნად იშრომეს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადის" მექანიზატორებმა. ისინი წარმატებით ასრულებენ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს, მტკიცე საფუძველს უყრიან უხვ მოსავალს.



საქტესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლმეურნე პენსიონერები

დიდ სიხარულს განიცდიან სოფლის მშრომელები. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით საკოლმეურნეო სოფლის დამსახურებულ ადამიანებს ენიშნებათ პენსიები.



თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობის საპენსიო კომისია მუშაობის დროს.



ბათუმის რაიონის სოფელ ანგისას კოლმეურნეობის საპენსიო კომისიის წევრები პენსიის დანიშვნას ულოცავენ 70 წლის კუსეინ ჯიჯავაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




კონფერენციის მონაწილენი.



„საუბრების" უხუცესი მონაწილე აკადემიკოსი ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილი.

ამას წინათ გაგრაში მიმდინარეობდა ფიზიოლოგთა ტრადიციული შეხვედრა, რომლებიც იკვლევენ ნერვული სისტემის სტრუქტურასა და ფუნქციებს. კონფერენცია მოიწვია ტვინის შესწავლის საერთაშორისო ორგანიზაციამ. ახლანდელი, სათვალავით მეხუთე „გაგრის საუბრები", მიეძღვნა ემოციონალური რეაქციების პრობლემებს.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზიკის ინსტიტუტში



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ჩიქოვანმა, უფროსმა ინჟინრებმა ვ. როინიშვილმა და ვ. მიხაილოვმა შექმნეს დამუხტული ნაწილაკების გენერატორი. იგი გათვალისწინებულია კოსმოსური სხივების ფიზიკის შესასწავლად.

სურათზე: ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები (მარცხნიდან): ვ. როინიშვილი, ა. ჯავრიშვილი და ვ. მიხაილოვი ნახევარი მილიონი ვოლტის მაღალი ძაბვის იმპულსური გენერატორის გაწყობის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 40 წელი საბალეტო სცენაზე



სასცენო მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს ვახტანგ მიხეილის ძე ჭაბუკიანს. ამ მოვლენას მიეძღვნა იუბილიარის შემოქმედებითი საღამო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსან ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

ამ სურათებზე აღბეჭდილია რამდენიმე მომენტი ვახტან ჭაბუკიანის შემოქმედებითი საღამოდან.



საქლესას ფოტოქრონიკა

# უძველესი აფხაზური ინსტრუმენტი



აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლმა მიიღო უძველესი აფხაზური მუსიკალური ინსტრუმენტი აიუმზა. ისინი დაამზადა მოსკოვის ექსპერიმენტულმა მუსიკალურმა სახელოსნომ.

სურათზე: აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლის მეთოდისტი ანა ავიძბა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე ივანე ქორთუა აწყობენ აიუმზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოცი წლის შემდეგ

ჰიტლერელ დამპყრობლებზე საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეომრებმა. ახლა დიდი სამამულო ომის ათეულ ათასობით აქტიური მონაწილე შრომობს კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე.



სუვოროვის პირველი ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებისა და უამრავი მედლის კავალერი ზიზე ბოლქვაძე, იგი ახლა ამიერკავკასიის რკინიგზის მოწინავე მემანქანე-ინსტრუქტორია.



საბჭოთა კავშირის გმირი რაჟდენ ბარციცი (მარჯვნივ) თავის მებრძოლ მეგობართა შორის რომლებიც ახლა გაგრის თევზსაჭერ კოლმეურნეობაში მუშაობენ.



საქტასის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინდონეზიელი სპეციალისტები რუსთავში

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საწარმოო პრაქტიკას გადიან ინდონეზიელი სპეციალისტები. ერთდროულად ისინი სწავლობენ რუსულ ენას, ეცნობიან ქართველი ხალხის ცხოვრებას.



შრომის შემდეგ კარგია დასვენება.




რუსული ენის გაკვეთილზე.



ინდონეზიელი სპეციალისტები ლითონმცოდნეობის ლაბორატორიაში



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საიმედო თავშესაფარი

აჭარის სანაპიროს ახლოს ძლიერმა შტორმმა მოუსწრო თურქეთის სამ სანდალსა და ორ მცირეგაბარიტიან მშრალი ტვირთის სატრანსპორტო გემს, რომლებმაც საიმედო თავშესაფარი ბათუმის ნავსადგურში იპოვეს. ნავსადგურის მუშაკები მეგობრულად შეხვდნენ მეზობელი ქვეყნის მეზღვაურებს, საჭირო დახმარება გაუწიეს მათ. თურქმა მეზღვაურებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს ბათუმელებს დახმარებისათვის.



თურქეთის სეინერები ბათუმის ნავსადგურში.



თურქი მეზღვაურები ეთხოვებიან ბათუმელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფლის კულტურის უნივერსიტეტის საქმიანობა



მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ერთდროული თამაშის სეანსის დროს ჭადრაკის მოყვარულებთან.



მიმდინარეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მორიგი სხდომა.

მჩქეფარე, საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობენ თელავის რაიონის სოფელ იყალთოს მშრომელები. 150 კაცი მეცადინეობს კულტურის სახალხო უნივერსიტეტში, რომელიც დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის სახელს ატარებს. კულტურის უნივერსიტეტის ხშირი სტუმრები არიან მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები.



კულტურის უნივერსიტეტის მსმენელებს ლექციას უკითხავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ევგენი ხარაძე



საქდესის ფოტოქრონიკა

# კურორტ წყალტუბოში



კურორტის საერთო ხედი.

წელს 100 ათასზე მეტი დამსვენებელი ჩამოვა წყალტუბოში. მთელი წლის განმავლობაში არ წყდება საკურორტო სეზონი საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის კერაში. კომფორტულ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში შეხვდებით ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ უამრავ დამსვენებელს.



სანატორიუმ „თბილისის" დამსვენებელთა ჯგუფი.

საქდესის ფოტოქრონიკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფლის ახალი საავადმყოფო



მახარაძის რაიონის სოფელ ნასაკირალში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საავადმყოფო. მას აქვს კარგად მოწყობილი თერაპევტული, სტომატოლოგიური, ქირურგიული, რენტგენოლოგიური და სხვა კაბინეტები.

სურათზე: ახალი საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი (მარცხნიდან მარჯვნივ): მედიცინის და ნ. ღლონტი, თერაპევტი დ. მგელაძე, ქირურგი ნ. ჩიკვილაძე და სტომატოლოგი მ. ნიკოლაიშვილი.

ფურცელი 24

საქტაგის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული ოჯახი



ნინო დუმბაძე, ბორის დიაჩკოვი და იური დიაჩკოვი სპორტული ნადავლის საოჯახო მუზეუმში.



დედა ავარჯიშებს შვილს.

მამა-შვილს გატაცებით უყვარს ციგურაობა.

სპორტული სამყარო კარგად იცნობს ნინო დამბაძესა და ბორის დიაჩკოვს. ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ცოლ-ქმარმა საბჭოთა სპორტის ისტორიაში. მშობელთა ტრადიციას განაგრძობს მათი იური. სპორტის ვეტერანთა საოჯახო მუზეუმში არის ბევრი რელიქვია, რომლებიც მოგვითხრობენ სპორტსმენთა ოჯახის შესანიშნავ მიღწევებზე.





საქდესის ფოტოქრონიკა